მევენახეობის განვითარება ცაგერის მუნიციპალიტეტში

დალი სილაგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

DEVELOPMENT OF VITICULTURE IN TSAGERI MUNICIPALITY

Dali Silagadze
Associate Professor
of Akaki Tsereteli State University

RESUME

The article discusses grape production according to regions and the development of viticulture in Tsageri municipality, relevant economic indicators are given

The purpose of the article was to study the grape varieties in Tsageri municipality, their area, value, as a result of the survey, we determined the problems of winegrowers and defined the necessary measures that would contribute to the clarification of the viticulture sector.

Currently, the following varieties are mainly produced in Lechkhumi: Usakhelouri, Tsolikauri, Orbeluri, Ojaleshi, Khvanchkari masala (Alexandrouli, Mujuretuli). The payment is made according to the quality, the difference depends on the microzone, the price of 1 kg in the Tvish microzone is 6-7 GEL, in the rest it is 3 GEL. The price of Ushameloi is 10-15 GEL per kg, there is a great demand for it.

Viticulture in Tsageri municipality can produce the highest quality products. The reason for this is the varieties of Georgian vines, and especially the unique variety of the nameless, along with the most important are the modern technologies that lead to the development of the industry. The vineyard is one of the main determinants for quality wine production. To achieve this, it is necessary to introduce modern education and technologies in the field.

Key words: Tsageri, Lechkhumi, municipality, viticulture, winemaking.

* * * *

საქართველო ითვლება მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში, რასაც ადასტურებს, გარეული და კულტურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება, აგრეთვე ამპელოგრაფიული, პალეობოტანიკური, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფილოლოგიური, ლინგვისტიკური და სხვა მეცნიერული გამოკვლევები, როგორც ქართველი ისე უცხოელი მკვლევარებისა.

სტატიის მიზანია შეგვესწავლა ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული ყურძნის ჯიშები, მათი ფართობი, ღირებულება, გამოკითხვის შედეგად დაგვედგინა მევენახეთა პრობლემები და გაგვესაზღვრა ის აუცილებელი ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობდა მევენახეობის დარგის განცითარებას.

რაჭა-ლეჩხუმი თავისი უნიკალური და ორიგინალური ღვინოებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ზონებისა და მიკროზონებისაგან.

რაჭა-ლეჩხუმი სხვა რეგიონებისგან გამოირჩევა ვენახების სიმცირითა და იშვიათი ჯიშის ყურძნით. აქ გავრცელებულია: ალექსანდროული, მუჯურეთული, ცოლიკოური, წულუკიძის თეთრა, ძელშავი, უსახელოური და ორბელური. რაჭის ზონა მოიცავს ამბროლაურის რაიონის დიდ ნაწილს, სადაც ვენახები გაშენებულია მდინარე რიონის ხეობაში, და ქვემო რაჭის ყველაზე მნიშვნელოვან ხვანჭკარის მიკროზონას. ლეჩხუმის მევენახეობის მხარის ძირითადი მიკროზონებია: ცაგერი, ორბელი, ალპანა-ტვიში, ზუბი-ოყურეში. ყველაზე სახელგანთქმული ღვინოები ამ რეგიონიდან არის უსახელოური და ადგილწარმოშობის ღვინოები _ ხვანჭკარა და ტვიში. ტვიშის მიკრორაიონული კლიმატი განაპირობებს იმერული ვაზის ჯიშის, ცოლიკოურის ყურძენში მაღალ შაქარმჟავიანობას და სწორედ ამ მიკროზონის ცოლიკოურისგან მზადდება თეთრი ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო "ტვიში". აღსანიშნავია ასევე ორბელის ოჯალეში, რომელიც თავისი ამპელოგრაფიული მახასიათებლებითა და ღვინის ხასიათით განსხვავდება სამეგრელოს ოჯალეშისგან.

ლეჩხუმი ისტორიულად წარმოადგენს ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და მშრალი ღვინოების აკვანს. ის მდებარეობს იმერეთის ჩრდილოეთით, მდინარეების — რიონის, ცხენისწყლის და ლაჯანურას ხეობებში — ვიწრო ზოლად. მისი ტერიტორია წარმოადგენს ერთგვარ ქვაბულს, რომელიც ყოველი მხრიდან შემოფარგლულია კლდოვანი ქედებით, რაც ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, რომელიც განსაზღვრავს აქაური ღვინოებისათვის დამახასიათებელ ორიგინალურ თვისებებს. ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე. ჰავა ზომიერად ტენიანია. ნიადაგებიდან აქ გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც უმეტესად განვითარებულია კირქვებზე, მერგელებსა და კარბონატულ ქვიშაქვებზე.

ტვიშის მიკრორაიონში არსებული კლიმატი გა-

ნაპირობებს იმერული ვაზის ჯიშის ცოლიკოურის ყურძენში მაღალ შაქარ-მჟავიანობას, რომელისგანაც ამზადებენ წარმოშობის ადგილის დასახელების თეთრ ბუნებრივად ტკბილ ღვინოს ტვიშს.

ლეჩხუმში, ზუბი-ოყურეშის მიკროზონაში ადგილობრივი ვაზის ჯიშის უსახელოურის ყურძნისაგან მზადდება უნიკალური, სასიამოვნო საგემოვნო თვისებების მქონე, ჯიშური დასახელების ბუნებრივად ტკბილი წითელი ღვინო უსახელოური, ხოლო ორბელის მიკროზონაში ორბელური ოჟალეშის ჯიშისაგან მიიღება წარმოშობის ადგილის დასახელების ბუნებრივად ტკბილი წითელი ღვინო ორბელური ოჯალეში (იხ. ცხრილი 1).

როგორც ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს ყურძნის წარმოება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 2021 წელს შეადგენს 4.2 ტონას ანუ საქართველოში წარმოებული ყურძნის 1,6 %-ია, 2022 წელს კი 1,3 % -ია. 2023 წელს კი 1. 9 %-ია. 2023 წელს ყურძნის წარმოება ტონებში ნაკლები იყო წინა წლებთან შედარებით 220,7 ათასი ტონა. ასევე შემცირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და 2023 წელს შეადგინა 4,1 ათასი ტონა ანუ საქართველოში წარმოებული ყურძნის 1,9 %-ტი.

ეხლა კონკრეტულად ვნახოთ და განვიხილოთ ცაგერის მუნიციპალიტეტის მევენახეობის მონაცემები (იხ. ცხრილი 2).

1. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 - მდე საოჯახო მარანი, რომლებიც დაფინანსებულია სხვადასხვა გრანტებითა და სახელმწიფო პროგრამებით. 2. სხვადასხვა დასახელების ღვინოს ასხამს გიორბელიძეების მარანი. დ. ჩაკვეტაძე, თ. ომანაძე , მ.ჩხეტიანი, პ. შარაშენიძე და სხვები. ჩამოსხმული ღვინის ფასი მერყეობს საშუალოდ 40-100ლარის ფარგლებში. 3.ვაზის გაშენებისათვის საჭიროა ფერმერებს ხელი მიუწვდებოდეთ რელიეფის შესაბამის ტექნიკაზე .

როგორც მონაცემებიდან ჩანს ლეჩხუმში ამჟამად ძირითადად იწარმოება შემდეგი ჯიშები: უსახელოური, ცოლიკაური, ორბელური, ოჯალეში, ხვანჭკარის მასალა (ალექსანდროული, მუჯურეთული), ხდება უსახელოურისა და ცოლიკაურის ფართობების ზრდა, თუმცა შემცირებულია უსახელოურის საჰექტარო მოსავლიანობა. ანაზღაურება ხდება ხარისხის შესაბამისად, განსხვავებაა მიკროზონის მიხედვით, ტვიშის მიკროზონაში 1კგ-ის ღირებულება 6-7 ლარია, დანარჩენში 3 ლარი.

გამორჩეულია უსახელოურის ფასი კგ-ი 10-15 ლარი, მასზე დიდი მოთხოვნაა, იგი სამეურნეო დანიშნულებით საღვინე ჯიშია, გამოყენებულია მაღალხარისხოვანი სუფრის და ნახევრად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად, რომელიც ინტენსიური შეფერვით, მაღალი ალკოჰოლით (12-13,5 გრადუსი) ჯიშური სასიამოვნო არომატით, საკმაოდ სხეულით და მეტად მაღალი არომატით, ჰარმონიული გემოთი გამოირჩევა. ნახევრად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად ყურძენი ოქტომბრის შუა რიცხვებიდან იკრიფება, მაშინ როდესაც მასში 23-26 %-მდე შაქარია და 6-8 გ/ლ-მდე მჟავიანობაა. ჯიში საშუალო ან საშუალოზე გვიანი პერიოდისაა. ყურძენი სექტემბრის ბოლო რიცხვებში მწიფდება.

ცხრილი 1. ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

წლები	2021	2022	2023
საქართველო	271.6	287.3	220.7
ქ.თბილისი	1.7	1.4	10
აჭარის ა.რ	3.5	2.7	2.2
გურია	1.7	1.7	1.4
იმერეთი	31.1	28.3	22.6
კახეთი	197.3	220.0	174.7
მცხეთა-მთიანეთი	4.9	4.6	4.2
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4.2	3.7	4.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.8	2.2	1.9
სამცხე-ჯავახეთი	1.1	1.7	0.3
ქვემო ქართლი	4.9	4.4	2.1
შიდა ქართლი	18.4	16.7	6.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მევენახეობის მონაცემები 2021-22-23 წწ.

წლები	ჯიში	ფართობი ჰა	მოსავალი ტ/ჰა	კილოგრამის ღირებულება ლარი	შენიშვნა
2021	უსახელოური	32	78	ხარისხის შესაბამისად 10-15 ლ	
	ცოლიკოური	210	1282	3	ტვიშის მიკროზონაში- 5ლ
	ორბელური ოჯალეში	57	200	2,5	
	ხვანჭკარის მასალა (ალექსანდროული, მუჯურეთული)	5	8	5	
2022	უსახელოური	37	90	ხარისხის შესაბამისად 10-15 ლ	
	ცოლიკოური	225	180	3,5	ტვიშის მიკროზონაში- 5 - 6 ლ
	ორბელური ოჯელეში	57	250	3	
	ხვანჭკარის მასალა (ალექსანდროული, მუჯურეთული)	5	14	5	
2023	უსახელოური	40	70	ხარისხის შესაბამისად 10-15 ლ	
	ცოლიკოური	228	772	4	ტვიშის მიკროზონაში- 6 - 7 ლ. ცოლიკაურის ფართიბი შეადგენს დაახლოებით 20 ჰა-ს

წყარო: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო- საინფორმაციო სამსახური

მევენახეთა პირადი გამოკითხვიდან ირკვევა, რომ ბევრმა მიიღო ვენახების გაშენებისთვის თანადაფინანსება, ბევრი კიდე ფასზე ჩივის, ამბობენ რომ ვაზი მეტად შრომატევადი კულტურაა, ხშირად შესაწამლ მასალებზე ქუთაისში მიდიან, თუ კლიმატმაც გვიღალატა ხდება ისეც რომ დანახარჯსაც ვერ ვინაზღაურებთ. ხშირად ჭირს რეალიზაციაც, კარგი იქნებოდა ცაგერში მაინც ყურძნის მიმღები და გადამამუშავებელი მარანი რომ აღდგეს, რაც ადრეულ წლებში წარმატებით ფუნქციონირებდა, ეხლა კერძო მესაკუთრეს შეუსყიდია და იქნებ აღადგინოს.

ძირითადში ლეჩხუმელი მეღვინეები ქვევრის ღვინოს აწარმოებენ, ზოგი ბოთლებშიც ასხამს და სამარკო სახელწოდებაც აქვს ღვინოს, ბევრი კი შემთხვევების დროს (ქორწილები, სამგლოვიარო რიტუალები) ყიდიან. მცირე რაოდენობით აბარებენ კვების ობიექტებსაც. რაც შეეხება მიმდინარე 2024 სამეურნეო წელს დიდ მოსავალს არ ელიან, რადგან გარკვეულ სოფლებში მოსულმა სეტყვამ ვენახები მთლიანად დააზიანა.

ბოლო პერიოდში შეინიშნება გლეხური ტრადიციული წესით დამზადებულ ღვინოებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით ჩამოსული უცხოელი ტურისტების მხრიდან.

დღეის მდგომარეობით, უსახელოურის და ცოლიკაურის ყურძენზე გაზრდილ მოთხოვნას შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენა. (სხვადასხვა წლებში ერთი კილოგრამი ზემოაღნიშნული ჯიშის ყურძნის ფასი 5-დან 15 ლარამდე მერყეობს), თუმცა მთელი რიგი პირობების გამო, ვერც ეს იქცა ადგილობრივებისათვის სტიმულად. დამუშავების პრიმიტიული მეთოდები, საჭირო რესურსების ნაკლებობა, ვაზის გაშენებისათვის საჭიროა ფერმერებს ხელი მიუწვდებოდეთ რელიეფის შესაბამის ტექნიკაზე , კომერციული მიზნით მოსავლის მოწევის გამოცდილების არქონა, ნიჰილიზმი, ქალაქში მიგრაციის მძაფრი სურვილი და სხვა მსგავსი მიზეზები კომპლექსურად იწვევენ ადგილობრივების ინდიფერენტიზმს. არადა, რეგიონში ტურიზმის განვითარებას დიდად შეუწყობდა ხელს სწორედ

ადგილობრივ ტრადიციებზე დამყარებული მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა.

სახელმწიფო ცდილობს მევენახემეღვინეს გარკვეული სუბსიდირებით გვერდში დაუდგეს, მაგრამ ეს საკმარისი ღონისძიება არ არის. დარგის შემდგომი განვითარებისთვის ახალი ცოდნა-უნარების შეძენა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

დასკვნა: ამდენად, ცაგერის მუნიციპალიტეტში მევენახეობის დარგს შეუძლია აწარმოებდეს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას. ამის საწინდარია ქართული ვაზის ჯიშები და განსაკუთრებით უნიკალური ჯიში უსახელოური, ამასთან ერთად უმნიშვნელოვანესია ის თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც განაპირობებენ დარგის განვითარებას. სწორედ ვენახია ერთი-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ხარისხიანი ღვინის წარმოებისთვის. ამის მისაღწევად კი აუცილებელია დარგში თანამედროვე განათლებისა და ტექნოლოგიების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.მ.რამიშვილი - ამპელოგრაფია თბილისი 1986

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2023 , პუბლიკაციები- სოფლის მეურნეობა http://www.geostat.ge/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახური

4. პირადი გამოკითხვები 2024